საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2681 2019 წლის 23 დეკემბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებისგან ცალკეულ შემთხვევებში დროებით გათავისუფლების თაობაზე

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის ვალდებულებისგან 2021 წლის პირველ იანვრამდე გათავისუფლდნენ ფიზიკური პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“

საქართველოს კანონით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას ფიზიკური პირების მიერ ვებგვერდის ან/და მობილური აპლიკაციის მეშვეობით განაცხადის წარდგენის შემთხვევებში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**